საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 69243372**
თარიღი:**02/12/2024**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

განხილულ იქნა რა მუნიციპალიტეტების მიერ 2022 – 2023 წლებში საბიუჯეტო პროცესების მართვის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წელს დამტკიცებული ანგარიში და აღმოჩენილი ხარვეზების შესაბამისად გაცემული რეკომენდაციები, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61 მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა

მუხლი 1.დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას საბიუჯეტო პროცესების მართვის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიმართ დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (პ. კიკალიშვილი) მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან კოორდინაციით აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების კონტროლი კომისიის კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი